

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს სხდომის

ოქმი №2

ქ. თერჯოლა.

27 თებერვალი 2018 წ.

სხდომას უძღვებოდა: ფრაქციის თავმჯდომარე ავთანდილ ჩუბინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: გოჩა ვერულაშვილი, გრიგოლ გიორგაძე, გიორგი რობაქიძე, ენვერი ხოხიაშვილი, ევა მაკარიძე, ბადრი ბუცხრიკიძე, ნინო ჯანელიძე, ნოდარ ფანჩულიძე, მანუჩარ ფანჩულიძე, სოფილ ბუსკივაძე.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების პროგრამის მიმდინარეობის შესახებ;  
/მომხს. მ. სირაძე/
2. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხილვა.  
/მომხს. გ. თურქაძე/
3. საჯარო დაწესებულებებში მიმდინარე რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოსმენა.  
/მომხს. ბ. სოფრომაძე/
4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თ. ქოჩიაშვილის განცხადების განხილვა;
5. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის ა. ჩუბინიძის განცხადების განხილვა შვებულებაში წასვლასთან დაკავშირებით;

1. მოისმინეს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია; მერაბ სირაძემ სოციალურ პროგრამებსა და მათ მიზნობრივ ხარჯვაზე შექმნილ სამუშაო ჯგუფზე სრულყოფილი განცხადება გააკეთა.

2. მოისმინეს: მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია. ასევე განიხილეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, საჯარო სკოლებსა და სოფლებში არსებული პრობლემები და საჭიროებები.

3. მოისმინეს: საჯარო დაწესებულებებში მიმდინარე რეორგანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ბატონმა ბ. სოფრომაძემ განაცხადა, რომ ყველაფერი მიმდინარეობს კანონის ფარგლებში. საჯარო ბიუროსთან კომუნიკაციის შედეგად გათვალისწინებულია ყველა პროცედურა, შეიქმნება კომისია, სადაც შესაძლებელია იყოს საჯარო სამსახურის წარმომადგენელი.

4. მოისმინეს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თ. ქოჩიაშვილის განცხადება ფრაქციაში გაწევრიანების შესახებ;

გადაწყვიტეს: ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი თემური ქოჩიაშვილის ფრაქციაში გაწევრიანებას.

5. მოისმინეს: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის ა. ჩუბინიძის განცხადება შვებულებაში წასვლასთან დაკავშირებით; მომხსენებელმა ფრაქციის წევრებს გააცნო განცხადება, სადაც ის ითხოვდა 1 მარტიდან კუთვნილ შვებულებაში გასვლას, ხოლო ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ვერულაშვილი.

გადაწყვიტეს: აღნიშნულ საკითხს ფრაქციის წევრებმა მხარი დაუჭირეს.

სხდომის თავმჯდომარე: ა. ჩუბინიძე

